საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა N5

ბათუმი 16 თებერვალი 2021 წ.

,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის სათათბირო ორგანოს – ხაზინადართა საბჭოს შემადგენლობისა და ხაზინადართა საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის 2020 წლის 16 დეკემბრის N36 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ი" ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის სათათბირო ორგანოს – ხაზინადართა საბჭოს შემადგენლობისა და ხაზინადართა საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის 2020 წლის 16 დეკემბრის N36 ბრძანებაში შეტანილი იქნას შემდეგი შინაარსის ცვლილება:

ა) ბრძანების პირველ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „დ" ქვეპუნქტი:

„დ) ირაკლი ჩავლეიშვილი - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრი - ხაზინადართა საბჭოს წევრი".

ბ) ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის სათათბირო ორგანოს – ხაზინადართა საბჭოს შემადგენლობისა და ხაზინადართა საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის 2020 წლის 16 დეკემბრის N36 ბრძანებით დამტკიცებული ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის სატათბირო ორგანოს - ხაზინადართა საბჭოს დებულების:

„მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის „გ" ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს".

გ) მე-4 მუხლის:

გ.ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ხაზინადართა საბჭოს სხდომები იმართება საჭიროებისამებრ, ხაზინადართა საბჭოს სხდომის მოწვევის უფლება აქვს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს, ხაზინადართა საბჭოს თავმჯდომარეს და ხაზინადართა საბჭოს უმრავლესობას".

გ.ბ) მე-4 პუნქტი ამოღებულ იქნეს".

2. ბრძანების ასლი სახელმძღვანელოდ და ცნობისათვის დაეგზავნოს უმაღლესი საბჭოს აპარატის სტრუქტურულ ერთეულებს. ბრძანების გაცნობა უზრუნველყოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის საორგანიზაციო და საქმისწარმოების დეპარტამენტის საქმისწარმოების განყოფილებამ.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. N30) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

4. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

დავით გაბაიძე